 სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

06/06/2024

MES 1 24 0000632135

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ" დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5) , სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ნანა ყარაულაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N 631357 06/06/2024 წ.) საფუძველზე:

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დ ა ს ა კ ა ვ ე ბ ლ ა დ ;
2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკავლიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად (რომელიც თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს);
3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე (ადმინისტრაციის ხელმზღვანელის სახელზე);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);
ვ) ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ (სასურველია 6 თვე);
ზ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ“.

4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;
ბ) გასაუბრება.

5. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 11 ივნისს და დასრულდეს 2024 წლის 17 ივნისს;

6. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე #206-ე ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

7. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2024 წლის 19 ივნისს;

8. კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2024 წლის 20 ივნისს 12:00 საათზე;

9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

10. დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი / ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
რამაზაშვილი სოლომონ